SCoBIT 25/26

con stellators georgia

Systemic Constellations Basic In-Depth Training

Systemic Personal Growth Model

სისტემური განლაგებების საბაზისო სიღრმისეული ტრენინგი

სისტემური პიროვნული ზრდის მოდელი

con stellators inter national

SCoBIT 25/26

სისტემური განლაგებების ინტენსიური ტრენინგი

12 თვე 180 სასწავლო საათი.

3 X 3 დღე ინტენსიური ფიზიკური დასწრებით = 72 საათი.

2 X 4 დღე ინტენსიური ფიზიკური დასწრებით = 64 საათი.

14 სამ საათიანი ონლაინ სემინარი = 42 საათი.

1 დღე სუპერვიზია = 2 საათი (+ დასრულების გალა ვახშამი)

20 საათი სავალდებულო მცირე ჯგუფებზე დასწრება

ბონუსი: სწავლის პერიოდში სხვა ვორქშოპებზე მოქმედებს 30% ფასდაკლება.

ტრენინგი აღიარებულია გერმანიის სისტემური განლაგებების საზოგადოების (DGfS) მიერ. ის მოიცავს სულ 180 საათს, ონლაინ და პირად შეხვედრებს.

ტრენინგის წარმატებით დასრულებისთვის მოგეთხოვებათ მონაწილეობა მინიმუმ 160 საათში. ასევე აუცილებელია მცირე ჯგუფებში მუშაობის მინიმუმ 20 საათი.

CONSTELLATORS GEORGIA (CG) -ს SCoBT 25/26 ტრენინგის დასრულების შემდეგ მონაწილეებს CONSTELLATORS INTERNATIONAL (CI) გთავაზობთ უფასო ერთწლიან სერთიფიკატს. ამისთვის CG უზრუნველყოფს ტრენინგის ყველა მონაწილისთვის ფასდაკლების კოდის გადაცემას სწავლების წარმატებით დასრულების შემდეგ. CI -ს ინტერნეტ გვერდი:

https://constellators-international.com

SCoBiT 25/26 -ში თანამონაწილეობა

ჩვენი ინტენსიური ტრენინგის სარგებელი სცილდება მხოლოდ მეთოდოლოგიური უნარების შესწავლას. ის მიზნად ისახავს ჰოლისტურ პიროვნულ განვითარებას და კარგად დასაბუთებული პროფესიული ცოდნის გადაცემას თერაპიულ, სოციალურ და პედაგოგიურ სფეროებში.

ინტენსიური თვითცნობიერება, პიროვნული განვითარება და ცენტრირება აქ და ახლა მომენტში, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს იმ უნარების გამომუშავებას, რომლებიც შესაძლებლობას მოგცემთ თავდაჯერებულად ჩამოაყალიბოთ საკუთარი ცხოვრება და ამასთან ერთად სათანადო მეგზურობა გაუწიოთ კლიენტებს.

SCoBiT 25/26 სწავლებას გაუძღვებიან შტეფანი ჰარტუნგი, ვოლფგანგ შპიტა და მოქშა ფეიქარი. შტეფანი არის CONSTELLATORS INTERNATIONAL-ის დამფუძნებელი, სისტემური განლაგებებით მუშაობის 25 წლიანი გამოცდილებით. ვოლფგანგი არის CONSTELLATORS INTERNATIONAL-ის ბორდის წევრი, სისტემური განლაგებებით მუშაობის 25 წლიანი გამოცდილებით. მოქშა არის CONSTELLATORS GEORGIA-ს დამფუძნებელი და ასევე CONSTELLATORS INTERNATIONAL-ის ბორდის წევრი სისტემური განლაგებებით მუშაობის 15 წელზე მეტი გამოცდილებით.

შტეფანი, ვოლფგანგი და მოქშაც სერთიფიცირებულები არიან როგორც განლაგებების ფასილიტატორები და ტრენერები. ტრენინგი აღიარებულია გერმანული ასოციაციის DGfS-ის მიერ. სწავლების წარმატებით დასრულების შემდეგ მონაწილეებს შეუძლიათ მიმართონ CONSTELLATORS INTERNATIONAL-ს საერთაშორისო სერთიფიკატისთვის.

con stellators inter national

con stellators georgia

DGfS Deutsche Gesellschaft für Systemaufstellungen

მოქშა ფეიქარი



დავიბადე 1973 წელს. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში არქიტექტურის შესწავლის შემდეგ მომიწია სამოგზაუროდ წასვლა საზღვარგარეთ. ამ პერიოდში ვმუშაობდი გრაფიკულ დიზაინერად და ვებ დეველოპერად გერმანიაში. 2000 წლის შემდეგ ინტერესი გამიჩნდა დეველოპერობასა და კონსულტაციის მიმართ ციფრული SAP პროდუქტების სფეროში.

20 წელზე მეტი ვიმუშავე მენეჯმენტის კონსულტანტად SAP-ის სხვადასხვა რეგიონულ და საერთაშორისო პროექტებში. მივიღე დიდი გამოცდილება გუნდის მენეჯმენტის, ქოუჩინგის, ბიზნეს პროცესების კონსულტაციისა და პროგრამული უზრუნველყოფის სფეროებში.

ჩემი კლიენტები იყვნენ ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორებიც არიან: Kyocera, HeidelbergCement, Deutsche Bahn, Knauf, Kyocera და Lufthansa Systems. როდესაც 2008 წელს ბერტ ჰელინგერს შევხვდი, ძალიან გამიტაცა სისტემურმა განლაგებებმა და შემიყვარდა ეს მეთოდი. UTA აკადემიაში, კიოლნში, რამდენიმე ტრენინგი გავიარე DGfS-ის აღიარებულ თერაპევტებთან და მასწავლებლებთან - რამატირთჰა დოეჩთან, სუბოდი შვაიცერთან და დვარი დოიჩთან.

დღეს ვმუშაობ ოჯახური და სისტემური განლაგებების სერტიფიცირებულ ფასილიტატორად და UTA აკადემიის ტრენერად. ვატარებ კონსულტაციებს, ტრენინგებს და ქოუჩინგს სისტემურ ორგანიზაციულ განვითარებაში გერმანიაში, მთელ მსოფლიოში და საქართველოში. როგორც CONSTELLATORS INTERNATIONAL-ის (CI) მრჩეველთა საბჭოს წევრისთვის ჩემთვის განსაკუთრებული პატივია CI-ის კოლეგებთან, შტეფანისთან და ვოლფგანგთან ერთად ამ სფეროში მუშაობა.

შტეფანი ჰარტუნგი



დავიბადე 1959 წელს. ვარ ერთი ზრდასრული ვაჟის დედა. ჩემს პარტნიორთან ერთად ვცხოვრობ კიოლნში, გერმანიაში და ბრიუგეში, ბელგიაში. 1977-82 წლებში დიუსელდორფის Staatliche Kunstakademie-ში ხელოვნების შესწავლის შემდეგ, ვმუშაობდი მხატვრად 13 წლის განმავლობაში, სანამ 1995 წელს გადავიდოდი ბიზნესში. პირველად სისტემურ განლაგებებს1997 წელს შევეხე.

1995 წლის შემდეგ, ჰაგენის უნივერსიტეტში მენეჯმენტის სწავლის გარდა, განათლება მივიღე გეშტალტთერაპევტად და დავასრულე რამდენიმე სასწავლო კურსი სისტემურ განლაგებებში, სისტემურ ქოუჩინგსა და ჰიპნოზში. როგორც FELD INSTITUT-ის მმართველი პარტნიორი, ვარ მრჩეველი და საკადრო ორგანიზაცებს ვეხმარები ორგანიზაციულ განვითარებაში. ვკითხულობ ლექციებს სისტემური ორგანიზაციული განვითარების შესახებ ევროპის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში.

როგორც თერაპევტი, ქოუჩი და განლაგებების ფასილიტატორი დაახლოებით 25 წელია ვუწევ კონსულტაციას ჩემს კლიენტებს პირად და პროფესიულ საკითხებში. როგორც სერტიფიცირებული ტრენერი, 2015 წლიდან ვთავაზობ სერტიფიცირებულ ტრენინგს განლაგებებით მუშაობაში როგორც თერაპიული, ასევე ორგანიზაციული მიმართულებით. ვარ ავტორი და ვწერ ჩემს სამუშაო თემებზე.

როგორც CONSTELLATORS INTERNATIONAL CI-ის დამფუძნებელი, მხარს ვუჭერ განლაგებების საერთაშორისო პოპულარიზაციას და ვეხმარები ჩემს კოლგებს პროფესიულ პრაქტიკაში.

ვოლფგანგ შპიტა

დავიბადე 1962 წელს, ამჟამად ვცხოვრობ ბონში და მყავს ორი შვილი. ვარ ექიმი და კლინიკური ფსიქიატრი. უკვე მედიცინის სწავლების პერიოდში მქონდა ინტერესი თვითშემეცნების და თერაპიის მიმართ. ამიტომ, ჩემი სამედიცინო ცოდნის პარალელურად, განვივითარე ფართო სპექტრის თერაპიული და საკონსულტაციო კომპეტენციები.

გავიარე ტრენინგები ტრანსაქციულ ანალიზში (ჯორჯ კოლრიზერი). სისტემურ კონსულტირებასა და თერაპიაში (ფრიც ბ. სიმონი, გიუნტჰარდ ვებერი), განლაგების მეთოდებში (გიუნტჰარდ ვებერი, შტეფან ჰაუზნერი და სხვ.) და პრობლემაზე ორიენტირებულ მოკლევადიან თერაპიაში (სტივ დე შაზერი).

1989-1996 წლებში ვმუშაობდი ფსიქიატრად ბონის სახელმწიფო კლინიკაში, სადაც სამი წლის განმავლობაში სხვადასხვა დახურული მკურნალობის განყოფილებას ვხელმძღვანელობდი, მათ შორის, ორი წლის განმავლობაში ვიყავი დახურული გადაუდებელი დახმარების განყოფილების ხელმძღვანელი.

ამის შემდეგ, შვიდი წლის განმავლობაში ვმუშაობდი კონსულტანტად Dr. Mautsch-ის ინსტიტუტში (კიოლნი), სადაც ვატარებდი ტრენინგებსა და კოაჩინგს მენეჯერებისთვის, ასევე ვეხმარებოდი გუნდების განვითარებას როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. დღეს მე ვუწევ მხარდაჭერას მენეჯერებსა და გუნდებს მათი განვითარების პროცესში, მათ შორის 2012 წლიდან ვარ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) თანამშრომლების კონსულტანტი ბონში. ავტორის რანგში ვწერ სტატიებსა და წიგნებს სისტემური განვითარების მეთოდებზე.

რას ემსახურება ეს ტრენინგი

სისტემური განლაგებები არის დამხმარე, დამატებითი მეთოდი როგორც თერაპიული, ასევე სამედიცინო, სოციალური და საგანმანათლებლო მიმართულებებისთვის. მისი მრავალგანზომილებიანობის გამო იგი გაძლევთ გაგებას და ცვლილებების განხორციელების უნიკალურ შესაძლებლობებს, რომლებიც სცილდებიან „ჩვეულებრივი“ და კლასიკური მიდგომების ჩარჩოებს. სისტემური განლაგება შეიძლება გავიგოთ, როგორც მეტამეცნიერება.

ეს მას მართლაც უნიკალურს ხდის, როგორც ჰოლისტურ მეთოდს. გასულ ათწლეულებში სწორედ განლაგებით მუშაობის შედეგად განხორციელდა გარკვეული რევოლუციური მიგნებები და გადაწყვეტაზე ორიენტირებული ცვლილებები ზემოხსენებულ სფეროებში - მაგალითად, ტრავმაზე მუშაობაში.

ჩაღრმავებული თეორიული და პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების გარდა, ჩვენ გთავაზობთ საკუთარი პიროვნების სიღრმისეული განვითარების შესაძლებლობას. ტრენინგი ასევე ინტენსიურად ავარჯიშებს თანმყოფობის, აღქმის და გადაჭარბებული განპირობებეებისგან გათავისუფლების უნარებს.

მეთოდის სწავლებასთან ერთად, ჩვენი ტრენინგი გთავაზობთ ისეთი სისტემური უნარების სწავლას თქვენი ყოველდღიური ურთიერთობისთვის - რომლებიც მიზნად ისახავენ თქვენ მიერ პასუხისმგებლობის აღებას იმაზე, რომ იყოთ (თანა)შემოქმედი თქვენი ცხოვრების ყველა სფეროში.

ჩვენი ინტენსიური ტრენინგი არ წარმოადგენს ფსიქოთერაპიას და არ ცვლის მას. ტრენინგში მონაწილეობა არ შეუძლიათ ფსიქიკურად დაავადებულებს და მწვავე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებს. თუ ტრენინგის განმავლობაში მონაწილე გადის ფსიქოთერაპიულ მკურნალობას, ჩვენ ვითხოვთ მკურნალი თერაპევტის წერილობით ნებართვას.

მონაწილეები უნდა იყვნენ **მინიმუმ 20 წლის**. ნებისმიერი პროფესიული გამოცდილება ამ სფეროში სასარგებლოა, მაგრამ არ წარმოადგენს აუცილებლობას.

განლაგების პროცესის აღწერა

1. მომზადება და კონტექსტი

კლიენტი ასახელებს საკითხს (პირადი, საოჯახო, პროფესიული, ჯანმრთელობა).

2. წარმომადგენლების შერჩევა და განლაგება

გამოირჩევა ძირითადი ელემენტები (მშობლები, ემოციები, სიმპტომები, რესურსები).

3. სისტემური ველის გააქტიურება

წარმომადგენლები გამოხატავენ შეგრძნებებს და ემოციებს. იკვეთება დაფარული კავშირები და ტრანსგენერაციული გავლენები.

4. ტრანსფორმაცია

ბლოკირებული ემოციების გააქტიურება და გაშვება. ახალი შინაგანი კავშირების შექმნა. წარსულის მიღება და გაცნობიერება.

5. ინტეგრაცია და ახალი მდგომარეობის მიღება

კლიენტი საკუთარი ადგილი პოულობს განახლებულ სისტემაში. ფინალური კორექტირებები და სტაბილურობის შემოწმება.

6. დახურვა და სესიის შემდგომი პროცესის გაცნობიერება

მიღებული გამოცდილების ინტეგრაცია. რეკომენდაცია – ნაკლები ანალიზი, მეტი შეგრძნება.

7. შეჯამება

სისტემური განლაგება არა მხოლოდ ერთჯერადი გამოცდილებაა, არამედ ღრმა შინაგანი ტრანსფორმაციის პროცესი, რომელიც დროთა განმავლობაში უფრო მკაფიოდ იკვეთება და ხორციელდება.

SCoBiT 25/26 -ის მეთოდები

საოჯახო ტიპის და ფენომენოლოგიური განლაგებები

დედა, მამა, შვილი - ტრიანგუკლაციები

დედა, ტრავმა, შვილი, რესურსები - შინაგანი ბლოკადები

დედა - სიყვარული, მამა - სამყარო

მშობლები, მათი მოთხოვნილებები, შვილი, მისი რესურსები

ბებიების და ბაბუების შუაში, წინაპრების ხაზი

პარტნიორი - დედა და მამა სკამით, პარტნიორების შინაგანი გუნდი

ტრავმა, რესურსები და ჯავშნანი - *ფრანც რუპერტი*

წინადადების განლაგება - *ფრანც რუპერტი*

მე - ჩემი პერსონა, მე - სხეული, გონება, ემოციები

სიმპტომის განლაგება - მანამდე, მერე

კონცეპტუალური და სტრუქტურული განლაგებები

გეშტალტის ციკლის 7 ფაზა

რწმუნებულების სამკუთხედი - *მატიას ვარგა*

ტეტრალემა - *მატიას ვარგა*

შვიდი თვალის კონცეფცია - ფასილიტაცია და სუპერვიზია

(NIG) - ნეიროინტეგრაციული განლაგება - *ევა მადელუნგი*

Parts Party - ნაწილების „ალღუმი“ - *ვირჯინია სატირი*

LIP - სიცოცხლის ინტეგრაციის პროცესი - *ვილფრედ ნელესი*

BIP - ურთიერთობების ინტეგრაცია - *ვილფრედ ნელესი*

9 Field - ცხრა ველი, 12 Field - თორმეტი ველი - *ინზა შპარერი*

ბიოგრაფიული სამუშაო - წარსული, აწმყო, მომავალი

Rebirthing - თავიდან დაბადების განლაგება

Quickies - მინიატურები - A,B, მინიატურები - A, B, C

საორგანიზაციო და ბიზნეს განლაგებები

მიზნის, პრობლემების და რესურსების განლაგება - *დიტერ დიკი*

ჯოჰარის ფანჯარა, აიზენჰაუერის კვადრატი

თანამშრომლების განვითარების 5 ფაზა - *ბლანშარტი*

ედვარდ დე ბონოს 6 ქუდი და უოლტ დინეის მეთოდი

FLOW მოდელის 4 საფეხური

FLOW – ეს არის პიროვნული განვითარების და ზრდის პროცესის მოდელი, რომელიც გადარჩენის სტრატეგიებიდან ცნობიერ ზრდამდე გვამოგზაურებს. ეს არის გზამკვლევი, რომელიც საშუალებას გვაძლევს, გადავინაცვლოთ შიშიდან ნდობაში, კონტროლიდან მოდუნებაში და ბრძოლიდან სიყვარულში. სწორედ ამ პროცესში ვპოულობთ თავისუფლებას, მთლიანობასა და იმ ცხოვრებას, რომელიც ჩვენი ავთენტური არსების ჭეშმარიტი გამოხატულებაა. ჩვენი სასწავლო ტრეინინგის 8 მოდული შედგება ამ 4 ფაზის მოდელისგან.

F – First Survival (პირველადი გადარჩენა)

- ბავშვობაში ოჯახის სისტემაში ადაპტაცია
- სიყვარულისა და უსაფრთხოების ძიება
- გადარჩენის სტრატეგიების ჩამოყალიბება

L – Love Dependence (დამოკიდებული სიყვარული)

- ემოციური მიჯაჭვულობების ფორმირება
- სიყვარულის მოპოვებისა და დაკარგვის შიში
- თავდაცვის მექანიზმების გაძლიერება

O – Observing Patterns (პატერნების გაცნობიერება)

- შინაგანი ქცევებისა და ემოციების დაკვირვება
- მიჯაჭვულობის გავლენის აღიარება
- პიროვნული ბლოკების ამოცნობა

W – Willingness to Shift (ცვლილებისთვის მზადყოფნა)

- წარსულის ტვირთის გაცნობიერება და მისი გაშვება
- პასუხისმგებლობის აღება საკუთარ ცხოვრებაზე
- შინაგანი რესურსების გააქტიურება

SCoBiT 25/26 -ის ტრეინინგის მოდულები

1 შესავალი მოდული: სისტემური განლაგების საფუძვლები

- სისტემური განლაგების წარმოშობა და ისტორია (ბერტ ჰელინგერი
- ფენომენოლოგიური და კონსტრუქტივისტული პარადიგმები
- მორფოგენეტიკული ველი - (რუპერტ შელდრეიკი)
- კონსტელატორის როლი, ეთიკა და პასუხისმგებლობა

2 მოდული: სისტემის თეორია და ძირითადი პრინციპები

- სისტემური კანონზომიერებები (მიკუთვნება, წონასწორობა, იერარქია)
- ინდივიდუალური, კოლექტიური და უნივერსალური სინდისი
- წარმომავლობითი (ბიოლოგიური) და აწმყოს ოჯახები
- გენოგრამა - ოჯახური ურთიერთობების რუკის შექმნა

3 მოდული: ტრანსგენერაციული გადაცემები და ტრამვა

- ეპიგენეტიკა და ნეიროპლასტიურობა - გავლენა შთამომავლობაზე
- ტრანსგენერაციული გავლენები - განმეორებადი ოჯახური პატერნები
- SE - სომატური გამოცდილება (პიტერ ლევინი)
- NARM - ნეიროაფექტური მოდელი (ლორენც ჰელერი)

4 მოდული: მიჯაჭვულობები და შინაგანი სტრუქტურები

- Inner Child Work (შტეფანი შტალი)
- DARe - მიჯაჭვულობის სტილები (დიანა პულ ჰელერი)
- SSI - სიმბიოზი და ავტონომიურობა (ერო ლანგლოცი)
- IoPT - ფსიქოტრავმის თერაპია (ფრანც რუპერტი)

SCoBiT 25/26 -ის ტრეინინგის მოდულები

5 მოდული: პარტნიორული ურთიერთობები და სიმპტომები

- პარტნიორული ურთიერთობების დინამიკა (შტეფანი შტალი)
- LIP - სიცოცხლის ინტეგრაციის პროცესი (შტეფანი ჰარტუნგი) *
- BIP - ურთიერთობის ინტეგრაციის პროცესი (შტეფანი ჰარტუნგი) *
- ორგანიზმის სისტემა, სიმპტომები (ვოლფგანგ შპიტა) *

6 მოდული: კონცეპტუალური განლაგებები

- სუბპერსონალიები (სიდრა და ჰალი სტოუნები)
- შინაგანი გუნდი (შულც ფონ თუნი)
- გეშტალტის თეორია, ციკლი და პოლარობების ველი (მატიას ვარგა)
- FLOW - (მოქშა ფეიქარი)

7 მოდული: საორგანიზაციო განლაგებები და ლიდერობა

- საორგანიზაციო სისტემების დინამიკა
- ლიდერობა და გუნდური პროცესები
- განსხვავებები და მსგავსებები ოჯახური სისტემასთან
- ორგანიზაციული ტრავმები და მათი სისტემური გაშლა

8 მოდული: პროფესიული ეთიკა და სუპერვიზია

- კონსტელატორის და კლიენტთან და სისტემასთან რეზონანსი
- სისტემის დაფარული კვანძები და საკითხზე ფოკუსირება
- ფასილიტაციის პრინციპები და განლაგების წაძღოლა
- სუპერვიზია - ტრენინგის შეჯამება, ინტეგრაცია და უკუკავშირი

- - -

* *ჩვენს მიერ მოწვეული **CONSTELLATORS INTERNATIONAL** -ის წარმომადგენელი სტუმრები და საერთაშორისო დონის მრავალწლიანი გამოცდილებების მქონე სპეციალისტები, შტეფანი ჰარტუნგი და ვოლფგანგ შპიტა, **მე-5 მოდულს** ფიზიკური დასწრებით ჩაატარებენ საქართველოში.*

SCoBiT 25/26 თარიღები და ადგილები

ჰიბრიდული სწავლება ჩატარდება ონლაინ და ასევე თბილისში

3 ოფლაინ ვორკშოპი = 3 X 3 დღე, პარ.-კვირ. ყოველდღე 10-18 საათამდე
(ჯამში 3 X 24 = 72 საათი)

4 ოფლაინ ვორკშოპი = 2 X 4 დღე, ხუთ.-კვირ. ყოველდღე 10-18 საათამდე
(ჯამში 2 X 32 = 64 საათი)

ონლაინ ვორკშოპი = 7 X 3 საათი ოთხ. 19-22 საათამდე
(ჯამში 21 საათი)

ონლაინ სუპერვიზია = 7 X 3 საათი ხუთ. 19-22 საათამდე
(ჯამში 21 საათი)

ოფლაინ = 136 (72 + 64), **ონლაინ** = 42 (21 + 21)
(**სულ ჯამში** = 178 საათი + 2 საათი **ოფლაინ სუპერვიზია** = **180 საათი**

2025		2026	
4 დღე ოფლაინ	19 / 22 ივნისი	ონლაინ 7 + 8	21 / 22 იანვარი
ონლაინ 1 + 2	16 / 17 ივლისი	ონლაინ 9 + 10	18 / 19 თებერვალი
3 დღე ოფლაინ	19 / 21 სექტემბერი	3 დღე ოფლაინ	20 / 22 მარტი
ონლაინ 3 + 4	15 / 16 ოქტომბერი	ონლაინ 11 + 12	15 / 16 აპრილი
3 დღე ოფლაინ	07/09 ნოემბერი	ონლაინ 13 + 14	20 / 21 მაისი
ონლაინ 5 + 6	17 / 18 დეკემბერი	4 დღე ოფლაინ	11 / 14 ივნისი

1 ოფლაინ სუპერვიზია 20 ივნისი 2026

ჰოლისტური სწავლება

დაბადებიდანვე ვიბრძვით იმ სისტემებში გადარჩენისთვის, სადაც ვხვდებით – პირველ რიგში, ოჯახში. ბავშვობაში უსაფრთხოების საძიებლად ვიღებთ დამოკიდებული სიყვარულის ლოგიკას, ხშირად საკუთარი თავის შეზღუდვის ფასად. ეს სტრატეგიები თავდაპირველად გვიცავს, მაგრამ ზრდასრულობაში მათი გადაფასება გვჭირდება.

ჩვენი ადრეული დაცვის მექანიზმების მიღმა უნიკალური შინაგანი ცხოვრება და პოტენციალი არსებობს. ზრდისა და აყვავებისთვის აუცილებელია მათი გაცნობიერება და მიჯაჭვულობებისგან გათავისუფლება.

SCoBiT 25/26 -ის პრეზენტაციები

- განლაგებების საფუძვლები, წესები და ეთიკა
- განლაგებების წარმოშობა და ისტორია
- მითითებები და კონტრმითითებები
- განლაგებების პარამეტრები და ფორმატები

- გეშტალტი და სისტემური თეორია
- სისტემური წესრიგი, ფუნქციები და პრინციპები
- ფუნქციის / დენადობის კანონზომიერებები
- ჰიპნოსისტემური დიალოგი

- დახმარების და სიყვარულის კანონზომიერებები
- აღქმა, ხედვა, შეგრძნება, ჭეშმარიტება
- ფენომელოგია და კონსტრუქტივიზმი
- მორფოგენეტიკა და კვანტური ფიზიკა

- ბიოგრაფიული და ტრანსპერსონალური სამუშაო
- ფსიქოტიპჟები - ეგო, სელფი, პიროვნება
- ტრავმა თერაპიების მეთოდოლოგიები
- ეპიგენეტიკა და ნეირობიოლოგია

SCoBiT 25/26 -ის სწავლების საფასური

სწავლის საფასურია 3300 ევრო. ღირებულებაში შედის 180 სასწავლო საათი, სასწავლო მასალა PDF ფორმატში და CONSTELLATORS INTERNATIONAL-ის ერთწლიანი უფასო სერთიფიკატი. ფასში ასევე შედის წასახემსებლები და სასმელები, რომელიც შემოთავაზებული იქნება სასწავლო მოდულებზე ფიზიკური დასწრებით შეხვედრების დროს.

სერთიფიცირების გაგრძელების სურვილის შემთხვევაში ყოველწლიური გადასახადის საფასური 150 ევროა.

ადრეული რეგისტრაცია

სასწავლო ტრეინინგზე 15.04.2025 წლამდე რეგისტრაციის შემთხვევაში გთავაზობთ 10%-იან ფასდაკლებას, რომელიც მხოლოდ ერთიან გადახდას ეხება (იხილეთ ცხრილი). ასევე, თითოეულ თქვენს მიერ მოყვანილ მონაწილეზე მოქმედებს 20% ფასდაკლება. თუ ტრეინინგზე დასწრების 5 მსურველს მოიყვანთ, მაშინ შეგეძლებათ სასწავლო ტრეინინგს უფასოდ დაესწროთ.

ვარიანტი	ვადა	პირობა	საფასური
1	01.05.2025 -მდე	15% ფასდაკლება	2.800 €
2	01.05.2025 -მდე 15.05.2025 -მდე 31.05.2025 -მდე	500 € 1250 € 1250 €	3000 €
3	01.05.2025 -მდე 15.05.2025 -მდე 31.05.2025 -მდე 15.06.2025 -მდე	500 € 900 € 900 € 900 €	3200 €
4	15.06.2025 -მდე	-	3300€

SCoBiT 25/26 -ზე რეგისტრაცია

- რეგისტრაცია უნდა განხორციელდეს ან ბმულის https://shorturl.at/0XLTO ან მეილის ci-trainings@mokshapeikari.com საშუალებით.
- რეგისტრაციის შემდეგ, ჩვენგან მიიღებთ ინვოისს, რომელზეც მითითებული იქნება გადახდის თარიღები - თქვენი სასურველი გადახდის ფორმის მიხედვით.
- როგორც კი თქვენი პირველი გადახდა ჩაირიცხება ჩვენს ანგარიშზე, თქვენი ადგილი დაიჯავშნება.
- რეგისტრაციის ბოლო ვადაა 2025 წლის 16 ივნისი, ორშაბათი.

რეგისტრაციის გაუქმება

- რეგისტრაციის გაუქმებისთვის საჭიროა წერილობით ან იმეილით მიმართოთ CONSTELLATORS GEORGIA -ს ინსტიტუტს. წერილის მიღების თარიღი გადამწყვეტია გაუქმების ღირებულების განსაზღვრისთვის.
- თუ რეგისტრაცია გაუქმდა ტრენინგის დაწყებამდე 2 კვირით ადრე, მონაწილე იხდის გაუქმების ღირებულებას - 200 ევრო.